კვლევის ანგარიში .

დოკუმენტის სათაური – რა ვიცით გენდერის შესახებ

კვლევის განმახორციელებელი – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ფარის საჯარო სკოლა.

თარიღი – 5.01.2019წ

ე. წ. დისქლეიმერი – აქ იწერება სტანდარტული ტექსტი, ძირითადად, დახრილი შრიფტით: *ანგარიში მომზადებულია ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება CENN–ის მიერ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პარლამენტის ერთობლივი ინიციატივით. ინიციატივა ფინანსდება ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს პრემიის დამფინანსებელი და განმახორციელებელი ორგანიზაციების პოზიციას.*

შესავალი. დღეს საზოგადოებაში ძალიან აქტუალური თემაა გენდერული თანასწორობა.ხშირ შემთხვევაში,საზოგადოება არ ფლობს სიღრმისეულ ინფორმაციას თუ რას გულისხმობს გენდერული თანასწორობა,რას უნდა მიექცეს ყურადღება, როდესაც საუბარია ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე.

იმისათვის,რომ მესტიის მუნიციპალიტეტის,ფარის თემში,დადგინდეს თუ რამდენად ინფორმირებულია სოფლის მოსახლეობა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით,ჩატარდა კვლევა გენდერის საკითხზე,რათა კვლევის შედეგად გამოკვეთილი მოსაზრებების დამუშავება მოხდეს და ეკოკლუბის მიერ მოხდეს პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული პრევენციული ნაბიჯები.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა სოციოლოგიური გამოკითხვა.პარალელურად,ჩატარდა ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა,თემში მცხოვრებ ქალებთან.კვლევის ჩატარება მოხდა ონლაინ კიტხვარის მეშვეობიტ,რომელიც ფარის საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრებმა გააციფრულეს და მოაწყვეს როგორც საველე გასვლა,ასევე გამოიყენეს სოციალური ქსელით კითხვარის გავრცელება.

გამოიკითხა სხვადასხვა ასაკის 20 ადამიანი.

მონაწილეთა ასაკი მერყეობს 17 დან 47 წლამდე რესპოდენტებს შორის.გამოკითხულთა 68.8 პროცენტი ქალია,31.3% მამაკაცი

კვლევის ანგარიში .

ძირითადი მიგნებები -

- გამოკითხულთა 100% ფიქრობს რომ გენდერული საკითხი აქტუალურია ქართული საზოგადოებისთვის.
- რესპოდენტთა 100% ფიქრობს,რომ გენდერული საკითხი კიდევ უფრო აქტუალური განხილვის საკითხი გახდეს.
- 78 % ფიქრობს,რომ გენდერულ თანასწორობაზე/უთანასწორობაზე,მოსახლეობა არ ფლობს სწორ ინფორმაციას.
- 83 % ფიქრობს ,რომ გოგონებს და ქალებს აინტერესებთ გენდერის თემა.
- 83% ფიქრობს რომ არსებობს მკვეთრად გამოხატული „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები.
- 100% ფიქრობს,რომ გენდერულ თანასწორობაზე საუბარი ადრეული ასაკიდანვე უნდა იყოს.
- 83 % ფიქრობს,რომ დისკრიმინაცია უფრო ხშირად გამოკვეთილია ქალთა მიმართ.
- რესპოდენტტა 100% თვლის,რომ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში ყველა მოქალქე უნდა იყოს ჩართული.
- 100% ფიქრობს რომ სურს მეტი ინფორმაცია მიიღოს გენდერულ თანასწორობაზე.
- 94.4% მზად არის ჩაებას იმ აქტივობებში,რომელიც გენდერული ტანასწორობისკენ იქნება მიმართული.

დასკვნები და რეკომენდაციები – კვლევამ აჩვენა,რომ მესტიის მუნიციპალიტეტის,ფარის თემის მოსახლეობას სჭირდება მეტი ინფორმირება გენდერული თანასწორობაზე.მნიშვნელოვანია მეტი ინფორმაცია მიიღონ დისკრიმინაციის რაობასა და იმ შედეგებზე,რომელიც განსაკუთრებით დასაქმების პროცესში ხდება.კვლევის შედეგად გამოიკვეტა,რომ ქალები მეტად არიან დაინტერესებული გენდერული თემებით.

კვლევის დამუშავების შედეგად,ეკოკლუბმა შეიმუშავა პროექტი“მე გენდერული ცვლილებებისთვის“,რაც ხელს შეუწყობს თემში გენდერის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პირველი შეხვედრა ფარის თემის მოსახლეობასთან გაიმართა თემაზე რა არის გენდერული თანასწორობა,ე.წ. ქალური და მამაკაცური პროფესიები და პრობლემის გადაჭრა.

კვლევის ანგარიში .

კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი თემები,რომელიც მნიშვნელოვანია ქალების გაძლიერებისათვის თემში,მათი დასაქმებისათვის ხელშეწყობა.

დაიგეგმა ჩატარდეს ტრენინგები:

- "როგორ მოვამზადოტ სამოტივაციო წერილი და CV."
- დისკრიმინაცია და შრომითი ურთიერთობები.
- ჩატარდეს კვლევა,რა ინტერესები აქვთ ქალებს თემში,რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება.
  კვლევაზე დაყრდნობით,მომზადდა რეკომენდაციები თემში მოქმედ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის,რომ მან უზრუნველყოს თემის მოსახლეობისათვის ჩაატარასო იმ ტიპის შეხვედრები,რომელიც ხელს შეუწყობს გენდერის შესახებ ცნობიერების ამაღლებას,მხარს დაუჭერს ქალთა როლის ზრდას სათემო ინიციატივებში,უზრუნველყოფს სხვადასხვა გენდერის ტემაზე მომუშავე ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების მოწვევას და ტრენინგების გამართვას.

დანართი

დანართში წარმოდგენილია კვლევის ელექტრონული ვერსია:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfqV3wvMMoLd_NttGetUwWjXOS7TEluGC4eS77Y6wvchN-YXg/viewform

ასევე კვლევის შედეგები გამოსახულია დიაგრამების საშუალებით.

კვლევის ანგარიში .

გსმენიათ რამე გენდერული თანასწორობის შესახებ?

20 responses



ფიქრობთ, რომ გენდერული თანასწორობა ის თემაა, რომელზეც ბევრი საუბრობს?

20 responses



ფიქროთ, რომ გენდერული თანასწორობა კიდევ უფრო აქტიური განხილვის თემა უნდა გახდეს?

20 responses



თვლით, რომ თქვენს თემში (აწ კლასში...) ბევრი არ ფლობს ინფორმაციას გენდერისა და გენდერული უთანასწორობის/ თანასწორობის შესახებ?

20 responses



კვლევის ანგარიში .

შეგიწიშწავთ, რომ არსებობს პროფესიები, სადაც გენდერული უთანასწორობა მკვეთრადაა გამოხატული? (მაგ. არსებობს „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები)

20 responses



ფიქრობთ, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში მიიღებს ადამიანი ინფორმაციას გენდერის შესახებ, მით უკეთესია?

20 responses